



კლასტერი 4: ციფრული ტექნოლოგიები, ინდუსტრია და კოსმოსი

HORIZON-CL4-2026-01

თამარ ბერბერაშვილი
ეროვნული საკონტაქტო პირი
ჰორიზონტი ევროპა საქართველოს ეროვნული ოფისი
2026 წელი

კლასტერი 4: ციფრული ტექნოლოგიები, ინდუსტრია და კოსმოსი



1. **MAT-PROD** – 17 საკონკურსო თემა
2. **DATA** – 3 საკონკურსო თემა
3. **DIGITAL – EMERGING** - 9 საკონკურსო თემა
4. **SPACE** - 1 საკონკურსო თემა
5. **HUMAN** - 1 საკონკურსო თემა

1. Destination: Leadership in **materials and production** for Europe

ევროპისთვის **მასალებისა და წარმოების სფეროში** ლიდერობის უზრუნველყოფა - **MAT-PROD**

2. Destination: Developing an agile and secure single market and infrastructure for **data**-services and trustworthy AI services

მონაცემთა სერვისებისა და სანდო AI სერვისებისთვის მოქნილი და უსაფრთხო ერთიანი ბაზრისა და ინფრასტრუქტურის განვითარება - **DATA**

3. Destination: Achieving open strategic autonomy in **digital and emerging enabling technologies**

ციფრულ და ახალი ხელშემწყობი ტექნოლოგიებში ღია სტრატეგიული ავტონომიის მიღწევა **DIGITAL – EMERGING**

4. Destination: Open Strategic Autonomy in Developing, Deploying and Using Global **Space**-Based Infrastructure, Services, Applications and Data

ღია სტრატეგიული ავტონომია გლობალური **კოსმოსური ინფრასტრუქტურის**, სერვისების, აპლიკაციებისა და მონაცემების განვითარებაში, დანერგვასა და გამოყენებაში - **SPACE**

5. Destination: Digital and industrial technologies driving **human-centric innovation**

ციფრული და ინდუსტრიული ტექნოლოგიები, რომლებიც ხელს უწყობს **ადამიანზე ორიენტირებულ ინოვაციას**. - **HUMAN**

Cluster 4: Digital, Industry and Space

European Commission

EN

Research and innovation

#HorizonEU

HORIZON EUROPE

Home > Funding > Funding opportunities > Funding programmes and open calls > Horizon Europe > Cluster 4: Digital, Industry and Space

Cluster 4: Digital, Industry and Space

Policy, strategy, how to apply and work programmes.

Page contents

- Policy and strategy
- Apply for funding
- Work programme
- Documents
- Events

Policy and strategy

The overarching vision behind the proposed investments under Cluster 4 is that of Europe shaping competitive and trusted technologies for a European industry with global leadership in key areas, enabling production and consumption to respect the boundaries of our planet, and maximising the benefits for all parts of society in the variety of social, economic and territorial contexts in Europe.

This will build a competitive, digital, low-carbon and circular industry, ensure sustainable supply of raw materials, develop advanced materials and provide the basis for advances and innovation in global challenges to society.

The expected impacts of this cluster are contained in the [Horizon Europe strategic plan](#).

სამუშაო პროგრამა 2026-2027



საბროკერო ღონისძიებები

Space 2026

Brokerage events

INDUSTRY Calls: online brokerage platform of NCP4Industry+ (HORIZON-CL4-2026-01 and HORIZON-CL4-2026-02-two-stage):

DIGITAL Calls: online brokerage platform of Ideal-ist (HORIZON-CL4-2026-04, HORIZON-CL4-2026-05, HORIZON-RAISE-2026)

SPACE Call: online brokerage platform of COSMOS4HEplus (HORIZON-CL4-2026-03)

- Register
- Create a profile
- Share cooperation offers
 - Project ideas
 - Expertise
 - Requests
- Find & contact partners



Digital 2026

Industry 2026

Horizon Europe Cluster 4 Digital Matchmaking Platform

Register now

Registration open until 31 Dec 2026

12 January 2026 - 17 April 2026

Horizon Europe Industry 2026 Brokerage Platform

Register now

Registration open until 17 Apr 2026

პროექტის ტიპები

ტიპი	მიზანი	დაფინანსება	TRL დონე
<p>RIA (Research and Innovation Action) კვლევისა და ინოვაციების აქტივობა</p>	<p>ფუნდამენტური ან გამოყენებითი კვლევები</p> <ul style="list-style-type: none"> • ტექნოლოგიური განვითარების ადრეულ ეტაპებზე, • ლაბორატორიულ ტესტირება. 	<p>100%</p>	<p>TRL 1–4</p>
<p>IA (Innovation Action) ინოვაციის აქტივობა</p>	<ul style="list-style-type: none"> • პროტოტიპის შექმნა, • ტესტირება რეალურ გარემოში, • ბაზარზე გასვლისთვის მომზადება. 	<p>70–100% (აკადემიური ინსტიტუტებისა და არაკომერციული ორგანიზაციებისთვის-100%)</p>	<p>TRL 5–7</p>
<p>CSA (Coordination and Support Action) კოორდინაციისა და მხარდაჭერის აქტივობა</p>	<ul style="list-style-type: none"> • ქსელური თანამშრომლობა, • კვლევების კოორდინაცია, • სტრატეგიის შემუშავება, • ცნობიერების ამაღლების, • სტანდარტიზაციის მხარდაჭერა. 	<p>100%</p>	<p>—</p>

სახიფათო ნივთიერებების უსაფრთხო და მდგრადი ალტერნატივების შემუშავება

დაწყება: 16 დეკემბერი, 2025

დასრულება: 17 მარტი (I ეტაპი), 13 ოქტომბერი (II ეტაპი), 2026



მოსალოდნელი შედეგები

- ინდუსტრიისთვის ისეთი ალტერნატივების მიწოდება, რომლებიც ჩაანაცვლებენ სახიფათო ნივთიერებებს და გაზრდიან ევროპული წარმოების კონკურენტუნარიანობას.
- ინოვაციური ციკლის დაჩქარება.
- რეგულაციებთან დაკავშირებული და საოპერაციო ხარჯების შემცირება.
- დიზაინის ეტაპიდანვე უსაფრთხოების და მდგრადობის პრინციპების გათვალისწინება.



შინაარსი:

ახალი ნივთიერებების შექმნა, მათი წარმოების პროცესების ადაპტაცია და არსებულ საწარმოო ხაზებში ინტეგრირება.

Ecodesign რეგულაციით* განსაზღვრული სახიფათო ნივთიერებების (SoCs) ჩაანაცვლება.

სამიზნე სექტორები: ენერგეტიკა, ტრანსპორტი, მშენებლობა, ელექტრონიკა, ტექნიკური ტექსტილი და სამედიცინო მოწყობილობები.



პირობები:

IA

38 მლნ €

თითო-6-7.5 მლნ €

TRL 5 დან 7 მდე



1. „სამუდამო ქიმიკატები“, რომლებიც ბუნებაში პრაქტიკულად არ იშლება.
2. ფტალატები – „პლასტმასის დამარბილებლები“
3. „ცეცხლსაწინააღმდეგო დანამატები“
4. მძიმე ლითონები (ტყვია, ვერცხლისწყალი, კადმიუმი)
5. ბისფენოლები
პოლიკარბონატის მისაღებად (პლასტმასის მრავალჯერადი ბოთლები და სამშენებლო წებოები)

* REGULATION (EU) 2024/1781 establishing a framework for the setting of eco-design requirements for sustainable products, Article 2: definitions, recital 27

ინოვაციური მოწინავე მასალები და წარმოების ახალი პროცესები – კრიტიკულ და სტრატეგიულ ნედლეულზე დამოკიდებულების შემცირება.

დაწყება: 6 იანვარი
დასრულება: 21 აპრილი



მოსალოდნელი შედეგები

- **კრიტიკული ნედლეულის** ჩანაცვლება ინოვაციური მასალებით ან მათი უფრო ეფექტური გამოყენება.
- საოპერაციო ხარჯების ოპტიმიზაცია და მომწოდებელთა ჯაჭვის უსაფრთხოების გაზრდა.
- **SSbD სტანდარტი**: „უსაფრთხო და მდგრადი დიზაინის“ (Safe and Sustainable by Design) ჩარჩოს დანერგვა მასალების შექმნისას.



პირობები:

- IA
- \$ 36 მლნ €
- თითო-6-7.5 მლნ €
- TRL 5 დან 7 მდე



შინაარსი:

ახალი მასალების დაპროექტება და წარმოება; ინდუსტრიული პროცესების ოპტიმიზაცია ნედლეულის დაზოგვის მიზნით; მასალებისა და პროცესების ერთობლივი განვითარების სტრატეგიები.

სფეროები: ენერგეტიკა, ტრანსპორტი, მშენებლობა, ელექტრონიკა, სამედიცინო მოწყობილობები და ქიმიური მრეწველობა.

პრიორიტეტულია შემდეგი „კრიტიკული ნედლეულების“ ჩანაცვლება:

იზვიათმიწა ელემენტები (ელექტრომობილების ძრავების მუდმივი მაგნიტებისთვის და ქარის ტურბინებისთვის); ლითიუმი, კობალტი და გრაფიტი (ბატარეების წარმოებისთვის).


მაგნიუმი (მსუბუქი ალუმინის შენადნობების შესაქმნელად ავია და ავტო ინდუსტრიაში);

პლატინის ჯგუფის ლითონები (წყალბადის ტექნოლოგიებში).

მაგ.: ნეოდიმის მაგნიტების ჩანაცვლება მასალებით, რომლებიც არ შეიცავს იზვიათ ელემენტებს.

ქიმიური ნივთიერებებისა და ინოვაციური მოწინავე მასალების აღმოჩენისა და განვითარების დაჩქარება დიגיტალიზაციისა და ხელოვნური ინტელექტის მეშვეობით


დაწყება: 6 იანვარი
დასრულება: 21 აპრილი

 **მოსალოდნელი შედეგები**

- ინოვაციური მოწინავე მასალებისა და ქიმიური ნივთიერებების აღმოჩენისა და განვითარების პროცესის დაჩქარება შემუშავებული ციფრული ინსტრუმენტების მეშვეობით.
- ქიმიური ნივთიერებების უსაფრთხოების სწრაფი შეფასება ციფრული მეთოდებით (ნაცვლად ხანგრძლივი ტოქსიკოლოგიური კვლევებისა).


 **პირობები:**


- IA
- € 50 მლნ €
- თითო-13 მლნ €
- TRL 5 დან 7 მდე

 **შინაარსი:**

ახალი მასალების ბაზარზე გასვლის დაჩქარება შემდეგი გზებით:

- **AI:** მასალების თვისებების სიმულაცია და „ვირტუალური ლაბორატორია“ რეალურ ლაბორატორიულ ტესტებამდე.
- **ავტონომიური ლაბორატორიები:** რობოტიზებული სისტემები, რომლებიც ადამიანის ჩაურევლად ატარებენ ათასობით ექსპერიმენტს და AI-ს მეშვეობით თავადვე ახდენენ მათ ანალიზს.
- **ინფორმაციის მიმოცვლა წარმოების პროცესიდან დახვეწამდე.**

 **მონაწილეები:**

 **მეცნიერები,** ვინც მუშაობენ ახალ პოლიმერებზე, კომპოზიტებზე ან ნანომასალებზე.

AI და პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპერები: ვისაც შეუძლია მაგ. შექმნას სიმულაციური მოდელები.

სამრეწველო საწარმოები, რომლებსაც სჭირდებათ „პრობლემური ნივთიერებების“ ჩანაცვლება უსაფრთხო ალტერნატივებით.

ტოქსიკოლოგები და გარემოსდაცვითი ექსპერტები.

თანამშრომლობა იაპონიასთან ინოვაციური მოწინავე მასალების სფეროში.

მოსალოდნელი შედეგები

იაპონიასთან თანამშრომლობის გაძლიერება მოწინავე მასალების სფეროში. შედეგად, ევროპელ და იაპონელ მკვლევარებს შორის უნდა ჩამოყალიბდეს მჭიდრო პროფესიული კავშირები.

შინაარსი:

იაპონიასთან ახალი კოლაბორაციების დაწყება ან უკვე არსებულის გაღრმავება.

სამეცნიერო ვიზიტები: პროექტმა უნდა გასცეს სამგზავრო გრანტები ევროკავშირის წევრი და ასოცირებული ქვეყნების მკვლევარებისთვის, რომ მათ იმოგზაურონ იაპონიის სამეცნიერო ინსტიტუტებში.

ვიზიტების ხანგრძლივობა ერთ თვემდე.


სფეროები: ტრანსპორტი, ენერჯეტიკა, მშენებლობა, ელექტრონიკა ან სამედიცინო მოწყობილობები.

პროექტი უნდა განაწილდეს ფართო გეოგრაფიული პრინციპით!

დაწყება: 6 იანვარი
დასრულება: 21 აპრილი

 პირობები:

 CSA

 0.8 მლნ €


1 პროექტი

მოწინავე წარმოება საკვანძო პროდუქტებისთვის

საკონკურსო თემის მიზანი: მაღალტექნოლოგიური პროდუქტების წარმოება.

 მოსალოდნელი შედეგები

- ევროპაში ხელმისაწვდომი ხდება მოწინავე დანადგარები მაღალი ხარისხის პროდუქტების საწარმოებლად.
- მეორადი ნედლეულის ხელახალი გამოყენება წარმოებაში.
- მასალებისა და ენერჯის მნიშვნელოვანი დაზოგვა.


 შინაარსი: უნდა შეიქმნას ისეთი დანადგარები, რომლებიც ამცირებენ კრიტიკულ ნედლეულზე დამოკიდებულებას.

მოწინავე წარმოების ტექნოლოგიების მაგალითები:
 ინოვაციური ადიტიური წარმოება (3D ბეჭდვა): რთული ფორმის დეტალების შექმნა მინიმალური ნარჩენით.
 ჰიბრიდული წარმოება: აერთიანებს ორ საპირისპირო ტექნოლოგიას.
 ფოტონიკა და ლაზერული დამუშავება: მასალების ზუსტი ჭრა და დამუშავება.
 ზედაპირის დამუშავების ტექნოლოგიები: მასალის ზედაპირის სტრუქტურირება სპეციფიკური თვისებების მისანიჭებლად.
 ხარისხის კონტროლი პირდაპირ საწარმოო ხაზზე, პროცესის შეჩერების გარეშე.

დაწყება: 6 იანვარი
დასრულება: 21 აპრილი


 პირობები:

- IA
- € 38 მლნ
- თითო-6-8 მლნ €
- TRL 5 დან 7 მდე

 გაითვალისწინეთ:

მინიმუმ ერთი დაფინანსებული პროექტი უნდა ეხებოდეს ავტონდუსტრიას.

მონაწილეები:

 წახალისებულია თანამშრომლობა იაპონიასთან ან ტაივანთან, რომლებიც ლიდერები არიან მიკროელექტრონიკასა და ზუსტ მანქანათმშენებლობაში.


რესურსების გამოყენების ოპტიმიზაცია ცირკულარულ ეკონომიკაში

დაწყება: 6 იანვარი
დასრულება: 21 აპრილი


 მოსალოდნელი შედეგები (ერთი ან რამდენიმე):

- მასალების რეციკლირება (Recycling- მასალის შენარჩუნება იმავე ციკლში ან მსგავსი ფუნქციით) და გარდაქმნა უფრო მაღალტექნოლოგიურ ან ძვირადღირებულ პროდუქტად (Upcycling), რაც შეამცირებს სათბურის აირების (GHG) ემისიას.
- სტრატეგიული ნედლეულის, კრიტიკული მასალებისა და ფეროშენადნობების აღდგენა წარმოების ნარჩენებიდან.
- ნედლეულის, სუფთა წყლისა და ენერჯის მოხმარების მინიმიზაცია, რაც ხელს შეუწყობს ეკოსისტემების მთლიანობის დაცვას.
- სტრატეგიული მნიშვნელობის მასალებში მინარევების გავლენის შემცირება.
- რესურსების ხარჯთეფექტური გამოყენება ოპტიმიზებული შრომითი და ენერგეტიკული რესურსებით.

 პირობები:
• RIA
• € 64 მლნ
• თითო-5-8 მლნ €
• TRL 4-5 დან 6 მდე

 შინაარსი: პროექტი უნდა ეხებოდეს მინიმუმ 3 პუნქტს შემდეგიდან:

1. ნარჩენი როგორც რესურსი და ცირკულარობა
2. ჭკვიანი დიზაინი და გაუმჯობესებული ტექნოლოგიები
3. კრიტიკული მასალების დაზოგვა და ბიომრავალფეროვნების დაცვა
4. პროცესების ოპტიმიზაცია.
5. დამაბინძურებლების გავლენის შესწავლა მასალის თვისებებზე.

 მონაწილე ორგანიზაციები: კვლევითი ინსტიტუტები და უნივერსიტეტები მასალთმცოდნეობის, ქიმიური ინჟინერიისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების მიმართულებით; მეტალურგიული ქარხნები და ქიმიური საწარმოები. ნარჩენების მართვის კომპანიები; SME-ები რომლებიც ქმნიან ციფრულ გადაწყვეტებს ან ინოვაციურ დანადგარებს. ორგანიზაციები, რომლებიც ცირკულარულ ეკონომიკაზე მუშაობენ.

ცირკულარული ინოვაციური მოწინავე მასალები: დიზაინიდან ბაზარზე გადასვლის ხელშეწყობა

საკონკურსო თემის მიზანი: მოწინავე/ინოვაციური მასალების შექმნა, რომლებიც ადვილად გადამუშავებადია და აქვთ მაღალი ფუნქციური მახასიათებლები.

მოსალოდნელი შედეგები:

- ცირკულარული დიზაინის მქონე მასალების დაჩქარებული დანერგვა პროდუქციაში.
- ახალი ბიზნეს მოდელების შექმნა. უნდა შეიქმნას გზები, როგორ გახდეს ამ მასალების გამოყენება მომგებიანი ბიზნესისთვის.
- მასალებისა და ენერჯის მნიშვნელოვანი დაზოგვა.
- ხარისხის სტანდარტებისა და რეგულაციების მოგვარება ახალი მასალების ბაზარზე გასვლის გასამარტივებლად.

შინაარსი

პროექტის მთავარი ფოკუსი უნდა იყოს ინოვაციური მოწინავე მასალები, კერძოდ: გადამუშავებადი პოლიმერები და კომპოზიტები (მაგ. რთული პლასტმასები, რომლებიც დღეს არ გადამუშავდება).

მაგნიტები (რომლებიც კრიტიკულია ელექტრომობილებისთვის).
ლითონები და შენადნობები 3D ბეჭდვისთვის.

მასალა თავიდანვე ისე უნდა შეიქმნას, რომ მისი დაშლა და ხელახლა გამოყენება მარტივი იყოს (**Design for Circularity**).

AI-ისა და მონაცემთა ბაზების გამოყენება ახალი მასალების გამოსაგონებლად.
მასალები უნდა იყოს ადამიანისთვის და გარემოსთვის უსაფრთხო

დაწყება: 6 იანვარი
დასრულება: 21 აპრილი

პირობები:

- RIA
- \$ 37 მლნ €
- თითო-5-6.50 მლნ €
- TRL 4-5 დან 6 მდე

გაითვალისწინეთ:

დაფინანსდება მინიმუმ ერთ პროექტს ტრანსპორტის სფეროში და მინიმუმ ერთი — მედიცინაში.

პროექტი არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ ლაბორატორიული კვლევით. მან უნდა აჩვენოს მთლიანი ჯაჭვი (დიზაინიდან დაწყებული, მასშტაბირებითა და ინდუსტრიული დემონსტრირებით დასრულებული).

CO2-ის ეფექტიანი დაჭერა, გაწმენდა და გამოყენება კონკურენტუნარიანი პროდუქტების საწარმოებლად

თემა ეხება ნახშირორჟანგის (CO2) ეფექტურ ათვისებას. მისი მთავარი მიზანია, CO2-ისგან მიღებული პროდუქტები (მაგ., ქიმიკატები ან პლასტმასები) გახდეს ისეთივე იაფი და ხელმისაწვდომი, როგორც ნავთობპროდუქტებისგან მიღებული ანალოგები. პროექტის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ინდუსტრიული გამონაბოლქვი არა გარემოში გაიფრქვეს, არამედ იქცეს ღირებულ ნედლეულად.

მოსალოდნელი შედეგები:

- წარმოების ხარჯების შემცირება: CO2-ზე დაფუძნებული პროდუქტების კონკურენტუნარიანობის გაზრდა ტრადიციულ ალტერნატივებთან შედარებით.
- ენერგოეფექტურობა: ენერგიის მოხმარების მინიმუმამდე დაყვანა განახლებადი ენერგიისა და ნარჩენი სითბოს გამოყენებით.
- ემისიების შემცირება: ნახშირბადის მდგრადი გამოყენება, რაც ხელს უწყობს ციკლურ ეკონომიკას.

შინაარსი

CO2-ის გადამუშავება რთულია, რადგან მას ბევრი ენერგია სჭირდება. პროექტმა უნდა შეიმუშაოს გზა ამ ენერგეტიკული ბარიერის გადასალახად და უნდა მოიცვას:

ინტეგრირებული მიდგომა: დაჭერის, გაწმენდისა და გარდაქმნის პროცესები უნდა გაერთიანდეს ენერგიის დასაზოგად.

განახლებადი ენერგიის წყაროების (ქარი, მზე) გამოყენება წარმოებაში და ქარხნებში არსებული სითბოს წყაროების და ინფრასტრუქტურის (მაგ. ნახშირბადის დაჭერა და შენახვა) მაქსიმალური ათვისება.

პროექტმა უნდა აჩვენოს ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობა. ის უნდა იყოს მომგებიანი ბიზნესისთვის.

დაწყება: 6 იანვარი
დასრულება: 21 აპრილი

პირობები:

- RIA
- \$ 43.80 მლნ €
- თითო-5-7 მლნ €
- TRL 4-5 დან 6 მდე

გაითვალისწინეთ:

გამონაკლისია მეთანოლისა და საწვავის წარმოება.

შედეგების დემონსტრირება უნდა მოხდეს მინიმუმ **ლაბორატორიულ პილოტურ დონეზე**.

უნდა დაითვალოს სათბურის აირების (GHG) აცილების კონკრეტული მაჩვენებლები.

წახალისებულია ექსპერიმენტები რეალურ ქარხნებში ან მათი მოდელირება რეალურ მონაცემებზე დაყრდნობით.

ინდუსტრია და აკადემიურ სფეროს შორის ცოდნის გაცვლის გაძლიერება სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებებში

მიზანი: ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების (SSH) ინდუსტრიაში ინტეგრირება. როგორ შეუძლიათ SSH მეცნიერებებს დაეხმარონ ინდუსტრიას და ბიზნესს რეალური პრობლემების მოგვარებაში: კომპანიებმა გამოიყენონ სოციოლოგიების, ფსიქოლოგიების, იურისტების, ხელოვანებისა და სხვა ჰუმანიტარების ცოდნა თავიანთი ტექნიკური თუ ორგანიზაციული გამოწვევების დასაძლევად.

მოსალოდნელი შედეგები:

- ინდუსტრიის მიერ სოციალური მეცნიერებების, ჰუმანიტარული დარგებისა და ხელოვნების (SSH) პოტენციალის გამოყენება კომპანიების კვლევითი და ორგანიზაციული გამოწვევების გადასაჭრელად.
- ახალი პროდუქტებისა და ტექნოლოგიების ინდუსტრიულ გარემოში დანერგვისა და ბაზარზე გატანის გაუმჯობესებული მეთოდები.
- SSH მკვლევრების მიერ ინდუსტრიის საჭიროებების უკეთ გაცნობიერება და თანამშრომლობის ახალი შესაძლებლობების იდენტიფიცირება.

დაწყება: 6 იანვარი
დასრულება: 21 აპრილი

 **პირობები:**
•  **CSA**
•  **2 მლნ €**

შინაარსი: უნდა შემუშავდეს ერთობლივი ფორმატები: ჰაკათონები, გუნდური მუშაობა, მენტორობა და გაცვლითი პროგრამები მკვლევრებსა და ბიზნესს შორის.

- ახალი ტექნოლოგიების სოციალურ-ტექნიკური გავლენის გააზრება.
- მომხმარებლის საჭიროებების, სამართლებრივი მოთხოვნებისა და ბაზრის გზების სიღრმისეული შესწავლა.
- სოციალური და კულტურული უთანასწორობის საკითხების გათვალისწინება ინოვაციებში.
- ორგანიზაციული განვითარება, მდგრადობა და გრძელვადიანი მომგებიანობა.

მენეჯერული ტალანტების მოზიდვა ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურების პერსონალის შესაძლებლობების გასაძლიერებლად

მიზანი: ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურების მართვის ხარისხის გაუმჯობესება

 მოსალოდნელი შედეგები:

- ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურების მართვისა და ინდუსტრიული სერვისების მიწოდებისთვის საჭიროებებისა და უნარების ღრმა გააზრება.
- პერსონალის მომზადება სექტორთაშორისი კომპეტენციების მიმართულებით.
- მენეჯმენტისა და შესაძლებლობების გაძლიერების საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება კვლევით და ტექნოლოგიურ ინფრასტრუქტურებს შორის.
- სტარტაპებისა და მცირე/საშუალო ბიზნესის მიერ ტექნოლოგიური სერვისების უფრო აქტიური გამოყენება.
- ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურების სერვისების მეტი გამჭვირვალობა და ხელმისაწვდომობა.


 შინაარსი:


პროექტმა უნდა შექმნას სქემები მენეჯერული ტალანტების მოსაზიდად: მოზიდული სპეციალისტები შეისწავლიან ინფრასტრუქტურის საჭიროებებს, კონსულტაციას გაუწევენ ზედა რგოლის მენეჯმენტს და ჩაატარებენ ტრენინგებს პერსონალისთვის შემდეგ საკითხებზე:

- კვლევის უსაფრთხოება,
- მონაცემთა მართვა,
- ხარისხის უზრუნველყოფა,
- სამეწარმეო უნარები.

ტრენინგები უნდა იყოს დისტანციურად ხელმისაწვდომი, ღია კოდის მქონე და ადვილად განახლებადი.

დაწყება: 6 იანვარი
დასრულება: 21 აპრილი

 პირობები:
CSA
2.5 მლნ €

 გაითვალისწინეთ:
პროექტი წარმატებული იქნება, თუ ის აჩვენებს, როგორ გადაიქცევა რთული ლაბორატორია ბიზნესისთვის გასაგებ და ადვილად გამოსაყენებელ სერვის-ცენტრად.

ტექნოლოგიურ ინფრასტრუქტურებზე წვდომის საპილოტე სქემები ევროპული სტარტაპების, სკეილაპებისა და ინოვაციური მცირე და საშუალო საწარმოებისთვის

მიზანი: სტარტაპებსა და მცირე ბიზნესისთვის ძვირადღირებული ლაბორატორიებისა და ტესტირების ცენტრების გამოყენება.




 მოსალოდნელი შედეგები:


- ინდუსტრიული მომხმარებლების (სტარტაპები/SME) სპეციფიკური საჭიროებების სიღრმისეული გაგება ისეთ სფეროებში, როგორცაა მოწინავე მასალები, სუფთა ენერჯია და ჯანდაცვა/ბიოტექნოლოგია.
- ახალი ტექნოლოგიების ტესტირების, მასშტაბირებისა და დანერგვის შესაძლებლობების გაზრდა.
- ეფექტური სქემების შექმნა, რომლებიც საშუალებას მისცემს კომპანიებს გამოიყენონ სხვა ქვეყნების ინფრასტრუქტურა.

 შინაარსი:

- ერთიანი, ციფრული „რუკა“ და საძიებო სისტემის შექმნა, რომელიც ევროპულ ინდუსტრიას დაეხმარება საჭირო ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის მარტივად მოძებნაში.
- საპილოტე სქემების შემუშავება, სადაც რამდენიმე ლაბორატორია ერთიანდება ერთიანი სერვისის ქვეშ.
- ერთიანი პორტალის ან პროგრამის შექმნა, რომელიც კომპანიებს საშუალებას მისცემს სწრაფად და მარტივად მიიღონ სერვისი.
- ინფრასტრუქტურის პოპულარიზაცია იმ რეგიონებში, სადაც კომპანიებს არ აქვთ ადგილობრივი წვდომა მსგავს ლაბორატორიებზე.

დაწყება: 6 იანვარი
დასრულება: 21 აპრილი

 პირობები:
 CSA
 5 მლნ €
თითო: 1.50 – 2.50 მლნ €

 მონაწილეები:
ინოვაციების სააგენტოები;
ბიზნეს აქსელერატორები და ჰაბები;
სამეცნიერო ცენტრები:
რომლებიც თავად ფლობენ გარკვეულ ინფრასტრუქტურას და სურთ მისი ევროპულ ქსელში ჩართვა.

როგორ გახდება რთული ბიუროკრატიული პროცესი მარტივი და მიმზიდველი სერვისი მცირე ბიზნესისთვის.

ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურების რუკა და სერვისების სამიზნო სისტემა

მიზანი: ციფრულ ხელსაწყოს ერთიანი პორტალის შექმნა რომელიც ყველაფერს ერთ სივრცეში მოუყრის თავს და სტარტაპები და კომპანიები მარტივად იპოვიან მათთვის საჭირო ლაბორატორიას თუ საგამოცდო ცენტრს მთელი ევროპის მასშტაბით.

დაწყება: 6 იანვარი
დასრულება: 21 აპრილი

პირობები:
 **CSA**
\$ 2 მლნ €

მოსალოდნელი შედეგები:

- ინტერაქტიული პორტალის შექმნა (ღია კოდზე დაფუძნებული, უფასო და მარტივად განახლებადი).
- ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურების, მათი ობიექტებისა და სერვისების სრული სურათის ჩამოყალიბება.
- მცირე და საშუალო ბიზნესისთვის (SME), სტარტაპებისა და სკეილაპებისთვის საჭირო სერვისების მოძებნის გამარტივება.

მონაწილეები:

IT და პროგრამული უზრუნველყოფის კომპანიები: რომლებსაც აქვთ გამოცდილება მონაცემთა ბაზების, ინტერაქტიული რუკებისა და პლატფორმების შექმნაში.
ტექნოლოგიების სააგენტო და ეროვნული სამეცნიერო ფონდი ინფორმაციის მიმწოდებლისა და ადგილობრივი კოორდინატორის როლში.

შინაარსი:

- არსებული მონაცემების შეგროვება და ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურების კლასიფიკაცია.
- მოთხოვნაზე ორიენტირებული პლატფორმის შექმნა. მომხმარებელი ეძებს სერვისს და არა უბრალოდ ინსტიტუტს.
- სისტემა უნდა იყოს თავსებადი სხვა ინიციატივებთან (მაგ. EIB TechEU) და ჰქონდეს ღია ინტერფეისი ინფორმაციის მიმოცვლისთვის მინიმუმ 5 წლის განმავლობაში.

კვლევითი ინსტიტუტები საკუთარი სერვისების პორტალზე განთავსებისთვის.

ეს არ უნდა იყოს მხოლოდ ვებგვერდი. მან უნდა უზრუნველყოს:

- ✓ პლატფორმის პოპულარიზაცია მთელ ევროკავშირში.
- ✓ TI ოპერატორებს შორის გამოცდილების გაზიარება და კადრების გაცვლა.
- ✓ ბიზნეს მოდელი, თუ როგორ გააგრძელებს პორტალი არსებობას და დაფინანსებას ევროკავშირის გრანტის დასრულების შემდეგ.

საკომუნიკაციო სააგენტოები: რომლებიც უზრუნველყოფენ პლატფორმის პოპულარიზაციას.

ინოვაციური ტექნოლოგიები და ინსტრუმენტები ნედლეულის მოძიებისა და მონაცემთა მოდელირებისთვის

მიზანი: გეოლოგიური მონაცემების გაციფრულება.

გეოლოგიური მოდელირების (ვირტუალური რუკის) მოწინავე მეთოდების შემუშავება და ინტეგრირება მულტიდისციპლინური (გეოლოგიური, გეოფიზიკური და გეოქიმიური) მონაცემების სინთეზის საფუძველზე.

 **მოსალოდნელი შედეგები:**


- კრიტიკული ნედლეულის საბადოების შესახებ მონაცემთა ბაზის გამდიდრება.
- მონაცემთა მოპოვების, დამუშავებისა და მინერალური სისტემების ანალიზის ახალი მეთოდების შექმნა.
- გეოლოგიური სამსახურების შესაძლებლობების ამაღლება თანამედროვე ტექნოლოგიებით.
- ძიებისა და მოდელირების სფეროში მომუშავე მცირე და საშუალო საწარმოების განვითარება.

 **შინაარსი:**

- მინერალური საბადოების მაღალი რეზოლუციის 3D მოდელების შექმნა დისტანციური ზონდირებისა და მიწისზედა კვლევების საფუძველზე.
- ხელოვნური ინტელექტის ინტეგრირება საბადოების მდებარეობისა და კრიტიკული ნედლეულის შემცველობის მაქსიმალური სიზუსტით პროგნოზირებისთვის.
- მადნის წარმოქმნის (წყარო, ტრანსპორტირება, დალექვა) ახალი კონცეპტუალური მოდელების შექმნა ნაკლებად შესწავლილი რეგიონებისთვის.
- არსებული მონაცემთა ბაზების გაერთიანება ახლად მოპოვებულ კვლევებთან.

დაწყება: 6 იანვარი
დასრულება: 21 აპრილი

 **პირობები:**
• RIA
• € 18.50 მლნ €
თითო-5-7 მლნ €
• TRL 3-4 დან 5 მდე

 **მონაწილეები:**
წიაღის ეროვნული სააგენტო;
სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი, კავკასიის მინერალური რესურსების ინსტიტუტი. სამთო-მოპოვებითი კომპანიები; IT კომპანიები: რომლებიც მუშაობენ გეო-საინფორმაციო სისტემებზე და მონაცემთა მოდელირებაზე.

კრიტიკული ნედლეულის ინოვაციური მოპოვების ტექნოლოგიები

მიზანი: მდგრადი ტექნოლოგიური გადაწყვეტების შემუშავება რთულად მისაწვდომი ან მიტოვებული საბადოებიდან ნარჩენი კრიტიკული ნედლეულის ამოსაღებად.

მოსალოდნელი შედეგები:

- ნედლეულის მოპოვების ხარჯთეფექტური და ინოვაციური გზების შექმნა.
- ევროკავშირის ბაზაზე არსებული საბადოების პირველადი მოპოვების პოტენციალის ზრდა.
- სათბურის აირების (GHG) ემისიების მნიშვნელოვანი შემცირება მოპოვებული მასალის ერთეულზე.
- ჰაბიტატების დაცვა და ეკოსისტემებზე უარყოფითი გავლენის მინიმუმამდე დაყვანა.


შინაარსი:

- მოპოვების ახალი მეთოდები ისეთი ადგილებიდან, სადაც ტრადიციული სამთო საქმიანობა სახიფათო ან არაეფექტურია.
- წყლის მოხმარების ოპტიმიზაცია, ნიადაგის და ჰაერის დაბინძურების აღკვეთა, ეროზიისა და გაუდაბნოების პრევენცია.
- ტექნოლოგიამ უნდა აჩვენოს კონკრეტული, გაზომვადი დადებითი შედეგები ეკოსისტემის ჯანმრთელობისთვის.

დაწყება: 6 იანვარი
დასრულება: 21 აპრილი

 **პირობები:**

- RIA
- € 19 მლნ
- თითო-5-7 მლნ €
- TRL 3-4 დან 5 მდე

 **მონაწილეები:**

განსაკუთრებული წახალისება ეძლევა უკრაინასთან პარტნიორობას.

მეორადი ნედლეულის მონიტორინგი

მიზანი: მეორადი ნედლეულის (ნარჩენებისგან მიღებული რესურსების) ბაზრის შესწავლა. ესენია: ბატარეები; ელექტრონული ნარჩენები; სამთო-მოპოვებითი ნარჩენები; წიდეები (მინისებრი ან ქვისებრი მასა, რომელიც ლითონის გამოცალკევების შემდეგ რჩება), ნაცარი, სამშენებლო ნარჩენები და ა.შ.).

მოსალოდნელი შედეგები:

- მეორადი ნედლეულის პოტენციალის, მარაგების, წარმოებისა და ბიომრავალფეროვნებაზე მათი გავლენის სიღრმისეული შესწავლა.
- ნედლეულის ბაზრებზე მომავალი ტენდენციების პროგნოზირება და შესაბამისი ანგარიშების მომზადება.
- მეორადი ნედლეულის მიწოდება-მოთხოვნის ჯაჭვში მოსალოდნელი ბარიერების განსაზღვრა.

შინაარსი: მეორადი რესურსების კლასიფიკაციის ერთიანი მიდგომა:

- ადამიანის მიერ შექმნილი ნარჩენების (ანთროპოგენული რესურსები) შესწავლა და კლასიფიცირება UNFC ფორმატში (რესურსების აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი).
- ნედლეულის მოპოვების გავლენის შეფასება ბუნებაზე.
- სინჯების აღება ევროკავშირის სხვადასხვა რეგიონში და ნარჩენების ნაკადების სტატისტიკის წარმოება.

დაწყება: 6 იანვარი
დასრულება: 21 აპრილი



პირობები:

CSA

4 მლნ €



მონაწილეები:

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო:
ნარჩენების მართვის პოლიტიკისა და სტატისტიკის მიმართულებით.
სტატისტიკის სამსახური:
ნედლეულის ნაკადების აღრიცხვის მეთოდოლოგიის შესამუშავებლად.
უნივერსიტეტები და კვლევითი ცენტრები;
ნარჩენების გადამამუშავებელი კომპანიები..

მეორადი ნედლეულის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება გადამუშავების გზით

მიზანი: ქალაქის ნარჩენების ათვისება და ევროპის ნედლეულით მომარაგების უსაფრთხოება. ძველი ნაგავსაყრელების დამუშავება მათგან ლითონების ამოსაღებად და შემდეგ ამ ტერიტორიების გამწვანება.


 მოსალოდნელი შედეგები:


- ნარჩენების ჭკვიანი გადამუშავება: ნედლეულის ხელახალი გამოყენება და კომპონენტების გამოცალკევება ნაგავსაყრელებიდან თუ მოძველებული ტექნიკიდან. ეკონომიურ და ეფექტურ ტექნოლოგიები: დაშლა, დაქუცმაცება, დახარისხება, რომლებიც თავადვე ზოგავენ ენერჯიასა და წყალს.
- ნაგავსაყრელების გავლენა ბიომრავალფეროვნებაზე და ამ ტერიტორიების ბუნებრივ მდგომარეობაში დაბრუნება (გამწვანება/აღდგენა).

 შინაარსი:

პროექტი უნდა ფარავდეს გადამუშავების სრულ ციკლს — შეგროვებიდან და ლოჯისტიკიდან დაწყებული, მეორადი ნედლეულის სრულ გაწმენდამდე.

დაწყება: 6 იანვარი
დასრულება: 21 აპრილი

 პირობები:
 IA
 € 28 მლნ ;
 თითო -7.5 მლნ €
 TRL 5 დან 7 მდე

 მონაწილეები:
 პროექტში წამყვანი როლი უნდა ჰქონდეთ გადამამუშავებელ ქარხნებსა და იმ კომპანიებს, რომლებიც ამ მეორად მასალას მოიხმარენ.

მიზანი: „ჭკვიანი“ მასალების შექმნა, რომლებს მუშაობენ როგორც სენსორები და გარემოზე რეაგირებენ (სენსორიკა). დაბალბიუჯეტური, მაღალეფექტური და მდგრადი სენსორები, რომლებიც გამოყენებული იქნება ეკოლოგიაში, მედიცინასა და მრეწველობაში.

მოსალოდნელი შედეგები:

- ახალი, მაღალეფექტური გადაწყვეტილებების შექმნა, რომლებიც ამცირებენ ენერჯის მოხმარებას და აუმჯობესებენ სენსორების მუშაობას.
- ინოვაციურ მოწინავე მასალებზე დაფუძნებული სენსორების გამოყენება გარემოს მონიტორინგისთვის, ინდუსტრიული უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის კონტროლისთვის.

შინაარსი: პროექტმა უნდა დაფაროს მინიმუმ ერთი შემდეგი მიმართულება:

A: ჭკვიანი ზედაპირები:

- ზედაპირი თავადვე აღმოაჩენს ცვლილებებს (ტემპერატურა, pH, ტენიანობა, ქიმიური დამაბინძურებლები) და გარდაქმნის მათ გაზომვად სიგნალებად.
- მაღალი მგრძობელობა, გამძლეობა და დაბალი თვითღირებულება.
- ეკოსისტემების მონიტორინგი და ჯანმრთელობის დიაგნოსტიკა.

B: მინიატურული და ინტეგრირებული სენსორები:

- სენსორების ინტეგრაცია პორტატულ IoT მოწყობილობებსა და ტანზე მოსარგებ სისტემებში.
- სილიციუმის ტექნოლოგიასთან თავსებადობა, ენერჯის დაბალი მოხმარება და მუშაობის უნარი ექსტრემალურ პირობებში.
- შესაძლებელია ბიომიმიკრიის (ბუნებაში არსებული მექანიზმების კოპირება) გამოყენება.

დაწყება: 6 იანვარი
დასრულება: 21 აპრილი

პირობები:
RIA
€ 22.50 მლნ ; თითო-7.5 მლნ €
TRL 3 დან 5-6 მდე





სენსორების გამოყენება ჯანმრთელობის მონიტორინგისთვის მოითხოვს **სოციალურ კვლევას:** მომხმარებელთა ნდობაზე, მონაცემთა კონფიდენციალურობასა და ეთიკურ ასპექტებზე.

ტექნოლოგიის დემონსტრირება უნდა მოხდეს რეალურ საწარმოო გარემოში.

HORIZON-CL4-2026-04-DATA-02: Open Internet Stack Sovereign Solutions

ღია ინტერნეტის სტეკის სუვერენული გადაწყვეტილებები


დაწყება: 15 იანვარი
დასრულება: 15 აპრილი

 **პირობები:**
 **RIA**
 **20.50** მლნ € ;
თითო-**7.00 – 10.25** მლნ €
 **TRL 3** დან **5-6** მდე
FSTP- თოთოს 400,000 €

მიზანი: ალტერნატიული, სანდო და დამოუკიდებელი ტექნოლოგიური სტეკის (პროგრამული უზრუნველყოფის ერთობლიობა) შექმნა, რომელიც იქნება სანდო, დეცენტრალიზებული და დამოუკიდებელი გლობალური ტექნოლოგიური გიგანტებისგან.

მოსალოდნელი შედეგები:

- **ევროპული ალტერნატივა:** ღია კოდზე დაფუძნებული გადაწყვეტილებები მოქალაქეებისთვის, მთავრობებისა და ბიზნესისთვის.
- **მარტივი დანერგვა:** მოდულური კომპონენტები, რომლებიც ადვილად ინტეგრირდება სხვადასხვა სექტორში.
- **დეცენტრალიზაცია და თავსებადობა:** სტანდარტებზე დაფუძნებული სისტემები, რომლებიც ხელს უწყობენ „ქსელურ ეფექტს“.

 პროექტებმა უნდა დაფარონ ერთი ან რამდენიმე შემდეგი ტექნოლოგიური სფერო:

- ქსელური და სატრანსპორტო ტექნოლოგიები;
- სუვერენული ოპერაციული სისტემები;
- პროდუქტიულობისა და მიწოდების ჯაჭვის ტექნოლოგიები.



მოთხოვნები:

- პროექტი უნდა დაუკავშირდეს **3C, Virtual Worlds/Web 4.0** და სხვა მსგავს ინიციატივებს.
- ღია ინტერნეტის შექმნა არ არის მხოლოდ კოდისწერა. აქ საჭიროა SSH ექსპერტიზა
- პროგრამული უზრუნველყოფის მიერ ენერჯის მინიმალური მოხმარება.
- მკაფიო გზა "Open Internet Stack"-ის კატალოგში მოსახვედრად და აპლიკაციების მაღაზიებში გამოსაჩენად.

Open Internet Stack - ღია ინტერნეტის ტექნოლოგიური ერთობლიობა - ევროკავშირის სტრატეგიული ინიციატივა, რომელიც მიზნად ისახავს ინტერნეტის ყველა ფენისთვის (ინფრასტრუქტურიდან აპლიკაციებამდე) ღია კოდზე დაფუძნებული, უსაფრთხო და დამოუკიდებელი ალტერნატივების შექმნას.

HORIZON-CL4-2026-04-DATA-03: Open Internet Stack Support for Scale

ღია ინტერნეტის სტეკის მხარდაჭერა მასშტაბირებისთვის

მიზანი: „ღია ინტერნეტის“ კომპონენტებისა და პროექტების ერთიან ქოლგა-ორგანიზაციის შექმნა.

მოსალოდნელი შედეგები:

ერთიანი მიდგომა და ცენტრალური ჰაბის შექმნა: „ღია ინტერნეტის“ კომპონენტებისა და პროექტების აღრიცხვის, ტექნიკური გამართვის, შემოწმებისა და ვალიდაციისთვის ერთიანი სტანდარტის შექმნა.

შინაარსი:

- შერჩეული ტექნოლოგიების უსაფრთხოების და ხელმისაწვდომობის შემოწმება.
- ტრენინგების მომზადება სხვადასხვა აუდიტორიისთვის (IT მენეჯერები, საჯარო მოხელეები, დეველოპერები), სადაც ხაზგასმული იქნება შესაბამისობა ევროპულ რეგულაციებთან (GDPR, DSA/DMA, CRA).
- ისეთი პარტნიორების პოვნა, რომლებიც ამ ტექნოლოგიებს თავიანთ ბიზნესში დანერგავენ (მაგ. OSPO-ები - Open Source Program Offices).
- ჯილდოებისა და წამახალისებელი სქემების მხარდაჭერა საუკეთესო პროექტებისთვის.

დაწყება: 15 იანვარი
დასრულება: 15 აპრილი

 პირობები:
CSA
\$ 4 მლნ € ;

მონაწილეები:

უნივერსიტეტები და კვლევითი ცენტრები ვისაც შეუძლია შექმნას სასწავლო პროგრამები და ჩაატაროს ტექნოლოგიური აუდიტი.

ტექნოლოგიური ასოციაციები და კლასტერები: ორგანიზაციები, რომლებსაც აქვთ გამოცდილება ბიზნესისა და დეველოპერების გაერთიანებაში.

საკონსულტაციო კომპანიები: რომლებიც მუშაობენ IT აუდიტზე, კიბერუსაფრთხოებასა და იურიდიულ საკითხებზე.

მარკეტინგული და PR სააგენტოები: ევროპული მასშტაბის ბრენდინგისა და საკომუნიკაციო გეგმის შესამუშავებლად.

HORIZON-CL4-2026-04-DATA-06: Efficient and compliant access to and use of data

მონაცემების ეფექტური და (წესებთან) შესაბამისი ხელმისაწვდომობა და გამოყენება

მიზანი: უსაფრთხო და თავსებადი ციფრული გარემოს შექმნა, სადაც მონაცემები სხვადასხვა სექტორს შორის (ბიზნესი, საჯარო სექტორი, კვლევა) თავისუფლად და დაცულად იმოდრავებს.

მონაცემების მართვისა და რეგულაციებთან შესაბამისობის სრული ავტომატიზაცია. ბიუროკრატიული პროცესები, კანონების დაცვა და მონაცემების გაცვლა უნდა ხდებოდეს არა ქაღალდებით, არამედ AI-ის მეშვეობით.

მოსალოდნელი შედეგები:

- ბიუროკრატიის შემცირება: AI-ზე დაფუძნებული ხელსაწყოები, რომლებიც ავტომატურად უზრუნველყოფენ ევროკავშირის წესებთან შესაბამისობას.
- მონაცემთა ერთიანი ბაზარი: მონაცემების ხელმისაწვდომობის, სიზუსტისა და კონფიდენციალურობის გაუმჯობესება მთელ კავშირში.
- ციფრული ლიდერობა: ევროკავშირის პოზიციონირება მარეგულირებელი ინოვაციების სათავეში (RegTech/GovTech).
- მაღალი ხარისხის მონაცემები AI-სთვის: რეალური და სინთეზური მონაცემების გამოყენება.

შინაარსი:

- აკლიკანტმა უნდა აირჩიონ ორიდან ერთი ძირითადი მიმართულება:
- 1: AI-ზე დაფუძნებული შესაბამისობის ტექნოლოგიები (RegTech) მიზანმიმართულია ავტომატიზაციაზე;
 - 2: მონაცემთა მართვის ადაპტური სისტემები მიზანმიმართულია მონაცემთა ხარისხსა და სტრუქტურაზე;

დაწყება: 15 იანვარი
დასრულება: 15 აპრილი

 პირობები:

- IA
- € 46.50 მლნ € ;
- 3 პროექტი
- თითოზე 11.50-23.50 მლნ €
- TRL 6-7 დან 8 მდე

 პროექტი უნდა დაუკავშირდეს სხვა მნიშვნელოვან ინიციატივებს:


AI Factories & EuroHPC: მაღალი წარმადობის გამოთვლები.
ევროპული ბლოკჩეინი (EBSI) და **ციფრული საფულე (EU Wallet).**
Data Spaces Support Centre: ერთიანი სტანდარტების დასაცავად.

AI-ს გამოყენება: RAISE-ის „მეცნიერება AI-სთვის“ სვეტის პილოტირება

მიზანი: რა მხოლოდ ტექნოლოგიის გამოყენება, არამედ ფუნდამენტური AI მეცნიერების განვითარება და ევროპული „ვირტუალური ინსტიტუტის“ შექმნა.

 მოსალოდნელი შედეგები:


- **AI ლაბორატორიების ქსელი:** საუკეთესო AI ცენტრების გაერთიანება ერთ „ვირტუალურ ინსტიტუტში“.
- **ფუნდამენტური კვლევები:** აქცენტი კეთდება ე.წ. **Frontier AI**-ზე — ანუ იმ ტექნოლოგიურ საზღვრებზე, რომლებიც ჯერ კიდევ შეუსწავლელია.
- **ტალანტების მიზიდვა:** ერთობლივი სადოქტორო (PhD) და პოსტ-დოქტორანტურის პროგრამების შექმნა მკვლევარებისთვის.
- **სინერგია მეცნიერებასთან:** მჭიდრო კავშირი ინიციატივა **RAISE**-თან და AI-ს გამოყენება სხვადასხვა სამეცნიერო დისციპლინაში.

 კონსორციუმი უნდა შედგებოდეს წამყვანი კვლევითი ინსტიტუტებისგან, რომლებსაც აქვთ იურიდიული სტრუქტურა, შესაბამისი ბაზა და მრავალრიცხოვანი კვლევითი გუნდები. პროექტი უნდა გახდეს ევროპული AI ლანდშაფტის ცენტრი.

- ძალისხმევის დიდი ნაწილი უნდა დაეთმოს ახალი AI მეთოდების აღმოჩენასა და განვითარებას.
- ამბიციური, რთული და ინოვაციური პროექტების იდეების მომზადება.
- კავშირი **AI Factories**-თან (მძლავრი გამოთვლითი რესურსები) და **AI-on-demand** პლატფორმასთან.

დაწყება: 15 იანვარი
დასრულება: 15 აპრილი

 პირობები:
RIA
€ 17.00 მლნ ;
ერთი პროექტი
TRL 2 დან 4 მდე

 მონაწილეები:
წამყვანი AI კვლევითი ინსტიტუტები: უფროსი მკვლევარების მინიმუმ 60%-ს უნდა ჰქონდეს მაღალი ციტირების ინდექსი (h-index), პუბლიკაციები ტოპ-ჟურნალებში და მიღებული პრესტიჟული ჯილდოები. საკუთარი შენობები, ლაბორატორიები და ტექნიკური მხარდაჭერის სერვისები. თითოეულ მონაწილეს უნდა ჰქონდეს მინიმუმ 10 დამოუკიდებელი AI კვლევითი ჯგუფი (საერთო ჯამში დაახლოებით 50 მკვლევარი).

შემდეგი თაობის AI აგენტები რეალური გამოყენებისთვის ხელოვნური ინტელექტის დანერგვის სექტორებში

მიზანი: შემდეგი თაობის AI აგენტების შექმნა, რომლებიც იქნებიან "მოქმედების შემსრულებლები", რომლებსაც შეუძლიათ დამოუკიდებლად დაგეგმვა და რთული ამოცანების შესრულება. თემა მიზნად ისახავს AI-ს გარდაქმნას პასიური მოდელიდან აქტიურ ავტონომიურ სისტემად, რომელსაც აქვს მეხსიერება, ლოგიკური მსჯელობის უნარი და სხვა აგენტებთან თანამშრომლობის შესაძლებლობა.

დაწყება: 15 იანვარი
დასრულება: 15

აპრილი



მოსალოდნელი შედეგები:

- **ავტონომიური მოქმედება:** AI აგენტმა უნდა შეძლოს რთული დაშლა პატარა ნაბიჯებად და მათი დამოუკიდებლად შესრულება.
- **მეხსიერება და ლოგიკა:** AI აგენტებს უნდა ჰქონდეთ გაუმჯობესებული მოკლე და გრძელვადიანი მეხსიერება, რათა არ დაეკარგოთ კონტექსტი ხანგრძლივი მუშაობისას.
- **რამდენიმე AI აგენტის კოორდინირებული მუშაობა** (მაგალითად, ერთი აგენტი წერს კოდს, მეორე ამოწმებს, მესამე კი ტესტავს).
- **AI მოდელების დაკავშირება გარე ხელსაწყოებთან** (APIs, მონაცემთა ბაზები), რომ მათ რეალურ სამყაროში მოქმედება შეძლონ.



პირობები:

RIA

€ 38.00 მლნ ;

თითო-19 მლნ €.

TRL 2 დან 5 მდე



შინაარსი:

- AI აგენტის "ტვინი" არის დიდი ენობრივი მოდელი (LLM), მაგრამ პროექტმა მას უნდა დაამატოს:
1. **დაგეგმვა:** რთული ამოცანის დაშლა მცირე ნაბიჯებად და სტრატეგიული თვით-ოპტიმიზაცია.
 2. **მეხსიერება:** მოკლევადიანი და გრძელვადიანი მეხსიერების ინტეგრაცია "უწყვეტი სწავლისთვის".
 3. **მულტიმოდალური მსჯელობა:** ინფორმაციის დამუშავება არა მხოლოდ ტექსტიდან, არამედ გამოსახულებებიდან და სხვა სენსორული მონაცემებიდან.
 4. **დეცენტრალიზებული კოორდინაცია:** პროტოკოლების შექმნა, რომლითაც სხვადასხვა AI აგენტები ერთმანეთს ინფორმაციას გაუზიარებენ.

მოწინავე ლოკალური ციფრული ტყუპები AI-ს გამოყენებით ადრეული გაფრთხილებისა და მზადყოფნისთვის

მიზანი: ხელოვნურ ინტელექტი სტიქიური უბედურებების (კერძოდ, წყალდიდობების) მართვისა და ურბანული მდგრადობისთვის. ეს თემა განსაკუთრებით აქტუალურია კლიმატის ცვლილების კონტექსტში და წარმოადგენს „ციფრული ტყუპების“ (Digital Twins) პრაქტიკული გამოყენების საუკეთესო მაგალითს.

ღია AI მოდელების შექმნა, რომლებიც დაეხმარება ქალაქებს წყალდიდობის პროგნოზირებაში, რეაგირებასა და ზარალის შემცირებაში.

 მოსალოდნელი შედეგები:

- **AI მოდელები:** ალგორითმები, რომლებიც ამუშავებენ მეტეოროლოგიურ, ნიადაგის, რელიეფის და ურბანულ მონაცემებს წყალდიდობის სიმულაციისთვის.
- **პროაქტიული გადაწყვეტილებების მიღება** სტიქიამდე.
- მოდელს უნდა შეეძლოს **ზიანის გამოთვლა** თითოეული კონკრეტული შენობის დონეზე.
- რეკომენდებულია ისეთი AI-ს შექმნა, რომელიც **მუშაობს ნაკლები ენერჯის მოხმარებით** და **შეზღუდული ინტერნეტ-კავშირის პირობებშიც** კი.
- ყველაფერი უნდა იყოს **ღია კოდით**, რომ სხვა რეგიონებმაც (მათ შორის ევროპის გარეთ) შეძლონ ამ ხელსაწყოების გამოყენება.

დაწყება: 15 იანვარი
დასრულება: 15

აპრილი



პირობები:

IA

€ 6.00 მლნ ;

ერთი პროექტი

TRL 5 დან 7 მდე



შინაარსი: პროექტებმა უნდა განავითარონ AI ალგორითმები კონცეფციიდან მასშტაბურ ტესტირებამდე:

- ნაცვლად სტატიკური რუკებისა, AI-მ უნდა გამოიყენოს **დინამიკური მონაცემები**.
- მოდელები, რომლებსაც შეუძლიათ **დათვალონ ზიანი კონკრეტული შენობების დონეზე** და შექმნან „ცხელი წერტილების“ რუკები.
- **პლატფორმა**, სადაც დაგეგმარების სპეციალისტებს შეეძლებათ სხვადასხვა სცენარის გათამაშება.

დაწყება: 15 იანვარი
დასრულება: 15 აპრილი

თემა ეხება კვანტურ ტექნოლოგიებს და მათ სტანდარტიზაციას.

მოსალოდნელი შედეგები:

- ევროპული პრიორიტეტების ასახვა საერთაშორისო სტანდარტებში.
- სხვადასხვა მწარმოებლის კვანტური სისტემების ერთმანეთთან დაკავშირება საერთო ინტერფეისებისა და პროტოკოლების მეშვეობით.
- ბარიერების მოხსნა მცირე ბიზნესისთვის (SMEs) და სტარტაპებისთვის
- აკადემიური და ინდუსტრიული სექტორებისთვის სახელმძღვანელოების და ტრენინგ-მოდულების შექმნა სტანდარტების გამოსაყენებლად.

პირობები:
CSA
€ 1.00 მლნ ;

შინაარსი: პროექტმა უნდა მოახდინოს კოორდინაცია კვანტური ტექნოლოგიების სამ ძირითად მიმართულებაში:

1. კვანტური გამოთვლები: აპარატურა-პროგრამული უზრუნველყოფის ინტერფეისები.
2. კვანტური კავშირგაბმულობა: მონაცემთა გადაცემის უსაფრთხო პროტოკოლები.
3. კვანტური სენსორიკა: გაზომვის მეთოდები და მეტროლოგია.

სასურველია, რომ კონსორციუმს სათავეში ედგნენ ან მასში წამყვან როლს ასრულებდნენ ევროპული სტანდარტიზაციის ორგანოები (მაგ. CEN-CENELEC, ETSI).

დუბლირების თავიდან ასაცილებლად პროექტი უნდა ეთანხმებოდეს უკვე არსებულ საერთაშორისო ინიციატივებს.

ძირითადი აქტივობები:

- საგზაო რუკების შექმნა;
- კონკრეტული დოკუმენტების მომზადება კონტროლის ელექტრონიკის, მოდულარობისა და სისტემების მუშაობის ხარისხის შესაფასებლად.
- სემინარებისა და კონსულტაციების ორგანიზება ინდუსტრიის წარმომადგენლებთან კონსენსუსის მისაღწევად.
- მომხმარებლის სახელმძღვანელოებისა და ტრენინგ-მასალების მომზადება.

ფოტონიკის სექტორის ქსელური თანამშრომლობა და მომავალი სტრატეგიული განვითარება

ფოტონიკა (სინათლის ნაწილაკების — ფოტონების მართვის მეცნიერება) ერთ-ერთ ყველაზე კრიტიკულ ტექნოლოგიად, რომელიც საფუძვლად უდევს ინტერნეტს, სამედიცინო ლაზერებსა და სენსორებს.

მიზანი: ევროპული ფოტონიკის ეკოსისტემის გაერთიანება და ერთიანი გზამკვლევის შემუშავება.

მოსალოდნელი შედეგი:

- **ინკლუზიური მოდელის შექმნა**, სადაც ინდუსტრია და აკადემია ერთად განსაზღვრავენ განვითარების გზას.
- **კვლევითი დღის წესრიგების სინქრონიზაცია** რეგიონული, ეროვნული და ევროპული.
- **პარტნიორობის ფარგლებში დაფინანსებული პროექტების ეფექტურობის კონტროლი.**
- **კერძო და შერეული დაფინანსების მოზიდვა** ფოტონიკური სტარტაპების მასშტაბირებისთვის.
- **ფოტონიკის პოზიციონირება**, როგორც "მწვანე" და "ციფრული" ტრანსფორმაციის მთავარი მამოძრავებელი ძალა.


შინაარსი: პროექტმა უნდა უზრუნველყოს შემდეგი ფუნქციები:

- **SRIA-ს განახლება:** სტრატეგიული კვლევისა და ინოვაციების დღის წესრიგის (SRIA) რეგულარული გადახედვა ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად.
- **მონიტორინგის სისტემა:** დაფინანსებული პროექტების თვალყურის დევნება და საჭიროების შემთხვევაში კორექტირებადი რეკომენდაციების გაცემა.
- **ერთიანი საკომუნიკაციო პლატფორმა:** ევროპული ფოტონიკის საზოგადოებისთვის ინფორმაციის გაცვლისა და პოპულარიზაციის ცენტრის შექმნა.
- **პარტნიორობათა შორის თანამშრომლობა:** სინერგიების ძიება სხვა პარტნიორობებთან (მაგ. Chips JU, AI/Robotics, Made in Europe).

დაწყება: 15 იანვარი
დასრულება: 15
აპრილი

პირობები:

CSA
€ 3.00 მლნ ;
(1 პროექტი).



ნახევარგამტარული ინდუსტრიის ინტენსიური განვითარების მქონე ევროპული რეგიონების თანამშრომლობის გაძლიერება


დაწყება: 15 იანვარი
დასრულება: 15
აპრილი

მიზანი: ნახევარგამტარების რეგიონული ეკოსისტემების გაძლიერება.
პროექტი მიზნად ისახავს მთავრობებისა და ინდუსტრიული კლასტერების გაერთიანებას, რომ ევროპამ შეძლოს ჩიპების წარმოების მასშტაბური ზრდა.

 **პრობები:**
 **CSA**
 **1.00 მლნ €**

 **მოსალოდნელი შედეგი:**

- რეგიონთაშორისი თანამშრომლობა: ნახევარგამტარების მიწოდების ჯაჭვში აქტიური რეგიონების მჭიდრო კოორდინაცია.
- ეკოსისტემების რუკა: ევროპული ნახევარგამტარული ეკოსისტემების დეტალური ვიზუალიზაცია, მათი კავშირებისა და საერთო საჭიროებების იდენტიფიცირება.
- ერთობლივი სტრატეგია: რეგიონული ძალისხმევის გაერთიანება, რაც გააძლიერებს "ჩიპების კომპეტენციის ცენტრების" მუშაობას.
- საინვესტიციო პლატფორმა: ონლაინ სივრცე ინფორმაციის გაცვლისთვის, რომელიც დაეხმარება ინვესტორებსა და სექტორში ახალ შესულ მოთამაშეებს.

 **შინაარსი:** პროექტმა უნდა იმუშაოს შემდეგი მიმართულებებით:

- ბარიერების იდენტიფიცირება: კვლევა იმ დაბრკოლებების შესახებ, რომლებიც ხელს უშლის ინვესტიციებს (მაგ. მშენებლობის ნებართვების გაჭიანურება).
- საუკეთესო პრაქტიკის შეგროვება: სახელმძღვანელოების მომზადება საჯარო უწყებებისთვის, რათა დაჩქარდეს ნახევარგამტარების ინფრასტრუქტურის მშენებლობა.
- ჭკვიანი სპეციალიზაცია: დახმარება რეგიონებისთვის, რათა მათ იპოვონ თავიანთი უნიკალური ადგილი ჩიპების გლობალურ ღირებულებათა ჯაჭვში.
- ქსელური მუშაობა: ისეთი ინიციატივების მხარდაჭერა, როგორცაა ევროპის ნახევარგამტარული რეგიონების ალიანსი (ESRA).

მიზანი: **ორგანზომილებიანი მასალების (გრაფენი და მისი ანალოგები) სფეროში მომუშავე ევროპული სამეცნიერო და ინდუსტრიული საზოგადოების კონსოლიდაციას.**

(2D მასალები არის ნივთიერებები, რომლებიც მხოლოდ ერთი ატომის სისქისაა და ფლობენ უნიკალურ ელექტრულ, თერმულ და მექანიკურ თვისებებს, რაც მათ შეუცვლელს ხდის მომავლის ელექტრონიკის, ბატარეებისა და სამედიცინო მოწყობილობებისთვის).



პროექტის ძირითადი ამოცანები:

- 2DM ტექნოლოგიების განვითარების **საგზაო რუკების მომზადება** და განახლება.
- **სტანდარტიზაცია**. ხელშეწყობა იმ ნორმების დადგენაში, რომლებიც აუცილებელია ამ მასალების ინდუსტრიული გამოყენებისთვის.
- ევროპული და გლობალური კვლევითი და დაფინანსების გარემოს მუდმივი **მონიტორინგი**.
- სფეროს მოთამაშეების მიღწევების **პოპულარიზაცია** და **ცნობადობის გაზრდა**.
- **კავშირების დამყარება** ეროვნულ ინიციატივებთან და „ევროპის ინოვაციური მოწინავე მასალების პარტნიორობასთან“.

დაწყება: 15 იანვარი
დასრულება: 15

აპრილი



პირობები:

CSA

1.00 მლნ €


დაწყება: 16 დეკემბერი, 2025
დასრულება: 17 მარტი (I ეტაპი), 13 ოქტომბერი (II ეტაპი), 2026

 პირობები:
 RIA
 30 მლნ € ;
თითო 4.00 – 6.00 მლნ € ;
 TRL 4-5 დან 6 მდე

მიზანი: ხელოვნური ინტელექტის (AI) პრაქტიკული გამოყენება თანამედროვე წარმოებაში: „ჭკვიანი ქარხნების“ შექმნა, რომლებიც რეალურ დროში ახდენენ პროცესების ოპტიმიზაციას, რომ შემცირდეს დეფექტი, დაიზოგოს ენერჯია და გაიზარდოს კონკურენტუნარიანობა.

 მოსალოდნელი შედეგი:


- კონკურენტუნარიანობისა და პროდუქტიულობის ზრდა: ინოვაციური AI გადაწყვეტილებების დანერგვა, რომლებიც რეალურ დროში აკონტროლებენ და ოპტიმიზაციას უკეთებენ წარმოებას.
- ემისიების შემცირება: წარმოების პროცესის თანხვედრა „სუფთა ინდუსტრიული შეთანხმების“ მიზნებთან.

 შინაარსი:

პროექტმა უნდა დაფაროს ქვემოთ მოცემული სამი მიმართულებიდან მინიმუმ ორი:

1. პროცესების ოპტიმიზაცია: დინამიკური შერჩევა საუკეთესო საწარმოო პარამეტრების, რომ შემცირდეს კლიმატზე გავლენა.
2. დეფექტის პრევენცია რეალურ დროში: პროდუქტი გაფუჭდება.
3. რესურსების ციკლორობა: მასალების ნაკადის ოპტიმიზაცია, რომ მაქსიმალურად იქნას გამოყენებული გადამუშავებული კომპონენტები.

AI უნდა იყოს ინტეგრირებული ორგანიზაციის სტრუქტურაში (როგორც ტექნიკურ, ისე არატექნიკურ დონეზე).
თემა ახორციელებს **Made in Europe** და **AI, Data and Robotics** პარტნიორობების მიზნებს.

 მონაწილეები:
სასრეწველო კომპანიები და ქარხნები: (მეტალურგია, ქიმიური მრეწველობა, კვების მრეწველობა), რომლებიც მზად არიან დანერგონ AI.
AI დეველოპერები და IT კომპანიები: რომლებიც მუშაობენ ღრმა სწავლების (Deep Learning) და დიდი ენობრივი მოდელების (LLM-ების) მიმართულებით, ციფრულ ტყუპებსა და სინთეზურ მონაცემებზე.
უნივერსიტეტები და კვლევითი ცენტრები: რომლებიც სპეციალიზდებიან მანქანურ სწავლებასა და საწარმოო ინჟინერიაში.
გარემოსდაცვითი ექსპერტები: რომლებიც შეაფასებენ ემისიების შემცირებას.

დაწყება: 16 დეკემბერი, 2025

დასრულება: 17 მარტი (I ეტაპი), 13 ოქტომბერი (II ეტაპი), 2026

მიზანი: გადამამუშავებელ მრეწველობასა (ქიმიური, მეტალურგიული, კვების, ცემენტის და ა.შ.) და AI-ის უახლესი ტექნოლოგიების (გენერაციული AI, აგენტური AI) გაერთიანება, რომ წარმოება გახდეს უფრო სწრაფი, მწვანე და უსაფრთხო.

AI-ს გამოყენება ახალი მასალების მისაღებად და ქარხნების მართვის სრულიად ახალ ეტაპზე გადასაყვანად.



მოსალოდნელი შედეგი:

აპლიკანტებმა უნდა აირჩიონ სამი მიმართულებიდან ერთ-ერთი:

1. მასალების და პროცესების სწრაფი განვითარება: AI-ს გამოყენება ახალი ნივთიერებების აღმოსაჩენად.
2. მდგრადი წარმოება: გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შემცირება AI-ს მეშვეობით.
3. სამუშაო ძალის დაცვა: რისკების შემცირება ჯანმრთელობისთვის და სამუშაო ადგილების უფრო მიმზიდველად ქცევა (მაგ. დისტანციური მართვა მეტავერსის გამოყენებით).



შინაარსი:

პროექტმა უნდა გამოიყენოს რთული მიდგომები:

გენერაციული AI: ახალი მასალების სტრუქტურების შესაქმნელად და საინჟინრო პროცესების ოპტიმიზაციისთვის.

აგენტური AI: ავტონომიური სისტემები, რომლებსაც შეუძლიათ გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღება ცვალებად პირობებში.



პირობები:

RIA

30 მლნ € ; (6 პროექტი)

თითო 4.00 – 6.00 მლნ € ;

TRL 4-5 დან 6 მდე



მონაწილეები:

პროექტში აუცილებლად უნდა იყვნენ ჩართულნი როგორც AI-ს ექსპერტები, ისე რეალური ქარხნები.

HORIZON-CL4-2026-SPACE-03-61: Scientific analysis and exploitation of space data

კოსმოსური მონაცემების სამეცნიერო ანალიზი და გამოყენება

მიზანი: კოსმოსური მისიებიდან მიღებული მონაცემების გადაქცევა მაღალი დონის სამეცნიერო ნაშრომებად, აღმოჩენებად და ახალ ტექნოლოგიურ ინსტრუმენტებად

მოსალოდნელი შედეგები:

- ევროპული მისიების მონაცემების საფუძველზე ახალი აღმოჩენების გაკეთება.
- სამეცნიერო სტატიების რაოდენობის ზრდა და მაღალი ხარისხის მონაცემთა არქივების შექმნა.
- ევროპულ და საერთაშორისო სამეცნიერო გუნდებს შორის კავშირების გაძლიერება.
- მიღებული ანალიზი უნდა დაეხმაროს მომავალი კოსმოსური მისიების დაგეგმვას.


შინაარსი:

- ასტრონომიის, ასტროფიზიკის, კოსმოლოგიის, ჰელიოფიზიკისა და მზის სისტემის კვლევისას მიღებული მონაცემების ანალიზი.
- უკვე არსებული ან მიმდინარე მისიების (მათ შორის მცირე თანამგზავრების) მონაცემების დამუშავება.
- მონაცემთა დამუშავების ინოვაციური მეთოდების შექმნა დიდი მოცულობის კოსმოსური ინფორმაციის დასამუშავებლად, მათ შორის: **AI-ისა** და მანქანური სწავლების გამოყენება;
- რთული მონაცემების ვიზუალიზაციის ახალი ტექნიკების შემუშავება;
- სხვადასხვა წყაროდან მიღებული მონაცემების ერთმანეთთან შეჯერება

დაწყება: 10 მარტი
დასრულება: 03 სექტემბერი


პირობები:

 RIA

 3.92 მლნ € ;

თითო 1.5 - 2.5 მლნ € ;

(2 პროექტი) ;

 უნდა მიაღწიოს **TRL 4**

გაითვალისწინეთ:

დედამიწაზე დაკვირვების მისიები ამ კონკრეტული თემის ფარგლებში არ განიხილება.

Web 4.0-ის არქიტექტურული ჩარჩო და ღია ინტერნეტის ტექნოლოგიური ერთობლიობის აპლიკაციები ვირტუალური სამყაროებისთვის

თემა ეხება მომავლის ინტერნეტს **Web 4.0**-სა და ვირტუალურ სამყაროს.
მიზანი: მომავალი ციფრული სივრცე არ იყოს მხოლოდ გლობალური გიგანტების კონტროლის ქვეშ, არამედ ეფუძნებოდეს ღია კოდს (**Open Source**), ადამიანზე ორიენტირებულ მიდგომას და ევროპულ ღირებულებებს.
Web 4.0 არის ინტერნეტის შემდეგი ეტაპი, სადაც ციფრული და ფიზიკური სამყაროები ერთმანეთს ერწყმის (Extended Reality), ხოლო ხელოვნური ინტელექტი და დეცენტრალიზაცია (Blockchain) მთავარ როლს თამაშობს.

მოსალოდნელი შედეგი:

- ღია კოდზე დაფუძნებული „საშენი ბლოკები“, რომლებიც იქნება უსაფრთხო და თავსებადი სხვადასხვა პლატფორმასთან.

შინაარსი:

აპლიკანტებმა უნდა აირჩიონ ორიდან ერთ-ერთი მიმართულება:

- არქიტექტურული ჩარჩოს ფენობრივი სისტემა:** ღია აპარატურა, AI აგენტები და დეცენტრალიზებული აპლიკაციები. **EU Wallet:** ევროპული ციფრული საფულის ინტეგრაცია თავსებადობისა და იდენტობის მართვისთვის.
ბალანსი: ენერგოეფექტურობისა და უსაფრთხოების ოპტიმიზაცია.
- აპლიკაციები** კონკრეტულ სერვისებზე: **დეცენტრალიზებული კომუნიკაცია:** მესენჯერები და ჯგუფური მუშაობის ხელსაწყოები ვირტუალურ სამყაროში.
ვირტუალური App-Stores: აპლიკაციების მაღაზიები, რომლებიც მორგებულია Web 4.0-ზე. **მომხმარებლის მართვა** სანდო სისტემები ვირტუალურ სივრცეში..

დაწყება: 15 იანვარი
დასრულება: 15

აპრილი
პირობები:
RIA
\$ 16.80 მლნ € ;
(3 პროექტი)
თითო **2.80 – 8.40** მლნ €

ფინანსური მხარდაჭერა მესამე მხარეებისთვის (FSTP): მაქსიმალური თანხა **300,000 €**.

პროექტმა არამხოლოდ უნდა შექმნას პროგრამული უზრუნველყოფა, არამედ: ჩაატაროს უსაფრთხოების შემოწმება და თარგმნოს პროგრამა ევროკავშირის ენებზე. შექმნას მკაფიო სტრატეგია, რომ მათი ტექნოლოგია გახდეს საერთაშორისო სტანდარტი. დაამტკიცოს, რომ აქვს ღია კოდის საზოგადოებებთან მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება.